წარმოგიდგენთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის 2018-2023 წლის მოკლე ანგარიშს.

როგორც მოგეხსენებათ, ფაკულტეტზე არსებული სამართლის კლინიკის მიზანია მოამზადოს სტუდენტი პროფესიული საქმიანობისთვის. მისცეს მას თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. განუვითაროს იურისტის პროფესიული უნარ-ჩვევები და შესძინოს პროფესიული ღირებულებები. გამოუმუშავოს სტუდენტს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, კვლევის მიზნებისთვის პრაქტიკის ანალიზის, პასუხისმგებლობის გაზიარებისა და ადმინისტრირების უნარი.

კლინიკის სტუდენტები სასამართლოში საქმეთა მომზადებისა და განხილვის პროცესის უკეთ შესწავლის მიზნით, ეუფლებიან ცალკეული საპროცესო დოკუმენტების (სარჩელი, შესაგებელი, შუამდგომლობა, კერძო საჩივარი და სხვა) მომზადების ტექნიკას. ამასთან ერთად, სტუდენტები გასცემდნენ ზეპირ და წერილობით კონსულტაციებს.

კლინიკაში სწავლის განმავლობაში სტუდენტები ავსებენ პრაქტიკის დღიურს. სადაც უთითებენ ჩატარებული აქტივობების ინფორმაციას, აღწერენ შესრულებულ სამუშაოებს, იმ სიახლეებს, რომლებსაც გაეცნენ მუშაობის პროცესში და აფიქსირებენ მიღწეულ შედეგებს.

წარმოგიდგენთ 2018-2022 წელს განხორციელებული აქტივობების მოკლე ანგარიშს:

1. სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“.

საჯარო ლექციაზე, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, განხილული იქნა, ეფექტურია თუ არა ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. სახელმწიფო სტრუქტურების რეაგირების შედეგად ხდება თუ არა პასუხისმგებელ პირთა

გამოვლენა და მათთვის სათანადო სასჯელის შეფარდება, რამდენად არის გათვალისწინებული გენდერული ხედვა სამართალწარმოების პროცესში და უზრუნველყოფილია თუ არა ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოება.

აღნიშნული საჯარო ლექციის მიზანი იყო სტუდენტთა ინფორმირება საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემაზე.

ლექციას გაუძღვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანალიტიკოსი გოგა ხატიაშვილი.

2. სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „ფემიციდი გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა“.

საჯარო ლექციაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: რა განასხვავებს ფემიციდს და მკვლელობებისგან? რა ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს ფემიციდთან ეფექტურად ბრძოლისათვის? როგორ უნდა მოხდეს ფემიციდის თავიდან აცილება, გამოძიება და დასჯა.

ლექციას გაუძღვა საიას პროექტის ხელმძღვანელი და იურისტი თამარ დეკანოსიძე.

3. სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა 7 შეხვედრა სისხლის სამართლის იმიტირებული პროცესისათვის მოსამზადებელ სასწავლო კურსზე. სადაც სტუდენტებმა დაწვრილებით გაიარეს პროცესის

მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები: შესავალი სიტყვის მომზადება , პირდაპირი დაკითხვა , ჯვარედინი დაკითხვა დასკვნითი სიტყვა და სხვა.

აღნიშნული პროექტის მიზანია მოამზადოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტები, როგორც შიდა საუნივერსიტეტო იმიტირებული პროცესებისთვის აგრეთვე ეროვნულ დონეზე სხვადასხვა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ იმიტირებულ სასამართლო პროცესებისთვის. აგრეთვე გამოუმუშაოს ის პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელი იქნება მათი მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

ამავე პროექტის ფარგლებში საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესი სადაც სტუდენტები წარდგებიან როგორც ბრალდების აგრეთვე დაცვის მხარის პოზიციებით.

საბოლოოდ გამოვლინდება საუკეთესო დაცვის მხარე, ბრალდების მხარე, გამარჯვებული გუნდი.

მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები და სხვა ფასიანი საჩუქრები ხოლო გამარჯვებული გუნდს გარდამავალი თასი.

4. სამართლის კლინიკის ორგანიზებით სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტები სტუმრად იმყოფებოდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულების მუზეუმში. უზენაესი სასამართლოს თანამშრომელთან ერთად სტუდენტებმა მოინახულეს საექსპონატო დარბაზი მიიღეს ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს ისტორიისა და იმ ცნობილი საზოგადო მოღვაწეების შესახებ რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული სამართლის განვითარებაში.

5. თებერვალს ოჯახში ძალადობის სასწავლო კურსის ფარგლებში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით სასწავლო კურსის სტუდენტები იმყოფებოდნენ ძალადობის მსხვერპლთა, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში. თავშესაფრის თანამშრომელმა სტუდენტებს დაათვალიერებინეს შენობა. დაწვრილებით გააცნეს თავშესაფარში განთავსების პირობები და ის აქტივობები, რომლებიც თავშესაფრის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის ხორციელდება.

6. ოჯახში ძალადობის სასწავლო კურსის ფარგლებში სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით აღნიშნული სასწავლო კურსის სტუდენტები იმყოფებოდნენ თეატრში სპექტაკლზე "ირინეს ბედნიერება", რომელიც ეძღვნებოდა ოჯახში ძალადობის თემატიკას.

7. სამართლის კლინიკის ორგანიზებით

იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფოს წარმომადგ ენლის დეპარტამენტის უფროსმა ბექა ძამაშვილმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „საქმე საქართველო რუსეთის წინააღმდეგ".

თავდაპირველად, ბექა ძამაშვილმა ისაუბრა საერთაშორისო დონის სასამართლოების კომპეტენციების და რუსეთის წინააღმდეგ საქმის განხილვის სხვადასხვა ასპექტებზე. განმარტა სტრასბურგის პროცესებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი და მოსალოდნელ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება.

შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები და საინტერესო პასუხები მიიღეს მომხსენებლისგან.

8. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის მოწვევით საჯარო სამართლის ლაბორატორიაში საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ გიორგი ბურჯანაძ ემ ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „სახალხო დამცველის კომპეტენცია სისხლის სამა რთლის საქმეებზე“

საჯარო ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეს მობრძანებისთვის და საინტერესო ლექციის ჩატარება უსურვა.

საქართველოს სახალხო დამცველის მაოდგილემ გიორგი ბურჯანაძემ თავდაპირველად ისაუბრა საქართველო სახალხო დამცველის აპარატის შესახებ, განმარტა გარკვეული ფუნქციები და კომპეტენციის სფეროები. ასევე, მოხსენებისას უშუალოდ შეეხო სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ასპექტებს, მასთან დაკავშირებულ პროცესუალურ მხარეებს და განმარტა კომპეტენციის შედეგები.

9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართა სისხლის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით.

პროცესის მონაწილე სტუდენტებს და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სტუს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი გაბისონიამ.

პროცესის მონაწილეები შეაფასეს წინასწარ შერჩეულმა ჟიურის წევრებმა შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორმა ემზარ გაგნიძემ, საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსმა ეკატერინე ხუციშვილმა და ქალაქ თბილისის საკრებულოს წარმომადგენელმა ნიკა ასვანუამ.
პროცესს წინ უსწრებდა სასწავლო კურსი (15 სასწავლო შეხვედრა) სადაც სტუდენტები ეუფლებოდნენ სასამართლოში იურისტის გამოსვლის უნარ-ჩვევებს. აღნიშნულ კურსს უძღვებოდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის ადვოკატი ბატონი ლევან ვეფხვაძე.

პროცესზე გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი შემდეგი შემადგენლობით: მართა ამირანაშვილი, გვანცა რევაზიშვილი, ელენე კალანდაძე, ნინო ხულუზაური, შახლა ისაევა, სოფო დარჩია და გიორგი ნაცვლიშვილი.

საუკეთესო დამცველის ტიტული დაიმსახურა თორნიკე კაპანაძემ, ხოლო საუკეთესო ბრალმდებლის ტიტული მოიპოვა ელენე კალანდაძემ. საუკეთესო ნაფიც მსაჯულად დასახელდა მარიამ ბეჟანიშვილი.

მონაწილე სტუდენტებს სერტიფიკატებთან ერთად გადაეცათ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნები. გამარჯვებულ გუნდს კი

გადაეცა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის გარდამავალი თასი.

იმიტირებული სასამართლო პროცესები მიზნად ისახავს სტუდენტებმა მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება მოახდინონ და გამოიმუშავონ ის უნარჩვევები რომელიც აუცილებელია მათი პროფესიული წინსვლისათვის.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკა კვლავ გეგმავს მსგავსი ხასიათის პროექტებს, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ უნივერსიტეტის ფარგლებშივე დაეუფლონ სასამართლოში იურისტის გამოსვლის უნარ-ჩვევებს და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის ტექნიკას.

10.საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა

ირმა პავლიაშვილმა

ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე „ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკაში“.

შეხვედრა გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სამართლის კლინიკის ხელმძღვანელს ღონისძიების ორგანიზებისთვის, სტუმარს მობრძანებისათვის და სტუდენტებს ნაყოფიერი სამუშაო საღამო უსურვა. იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ირმა პავლიაშვილმა ისაუბრა ახალგაზრდების ცხოვრებაში პოლიტიკის ჩართვის აუცილებლობაზე, ქალების როლის ზრდაზე, ინფორმირებული ამომრჩევლის ჩამოყალიბებაზე,

განათლების როლზე და მნიშვნელობაზე, პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიაზე და შიდადემოკრატიულ პროცესებზე. ასევე განმარტა ირიბი და პირდაპირი საარჩევნო უფლების ქალების მხრიდან გამოყენების მნიშვნელობა.

სტუდენტებმა აქტიურად დაუსვეს შეკითხვები მომხსენებელს და საინტერესო, ამომწურავი პასუხები მიიღეს სტუმრისგან.

11. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა იმიტირებული პროცესი ოჯახში ძალადობის თემატიკაზე. პროცესზე ჟიურის წევრები გახლდნენ: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელი თამილა სანიკიძე და საიას პროექტის ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი ნინო ჩიხლაძე. იმიტირებულ პროცესამდე სტუდენტები 1 თვის განმავლობაში გადიოდნენ მოსამზადებელ კურსს. სწავლების პროცესში მოხდა სტუდენტების ვიზიტი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში. აგრეთვე, სტუდენტები იმყოფებოდნენ თეატრში, სადაც ოჯახში ძალადობის თემატიკაზე დადგმული სპექტაკლი „ირინეს ბედნიერება“ იხილეს. იმიტირებული პროცესის დასრულების შემდგომ მონაწილეებს სამართლის კლინიკის ხელმძღვანელმა მაკა აბულაძემ გადასცა სერტიფიკატები, სახელმძღვანელოები და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შექმნილი მაისურები და ჩანთები. ამავე დღეს

სამართლის კლინიკის პრაქტიკანტებს, რომლებიც 3 თვის განმავლობაში პროფესიონალ ადვოკატებთან ერთად გასცემდნენ კონსულტაციებს და ამზადებდნენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს გადაეცათ პრაქტიკის წარმატებით დასრულების სერტიფიკატები. დღის ბოლოს კი ოჯახში ძალადობის სასწავლო კურსის მონაწილეები იმყოფებოდნენ თეატრში სპექტაკლზე „სეილემის პროცესი“ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკა კვლავ გეგმავს მსგავსი ხასიათის პროექტებს, რათა სტუდენტებს საშუალება მიეცეთ უნივერსიტეტის ფარგლებშივე დაეუფლონ სასამართლოში იურისტის გამოსვლის უნარ-ჩვევებს და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის ტექნიკას.

12. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით სტუდენტები საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეწვივნენ სადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ქ-ნ მზია თოდუას შეხვდნენ. შეხვედრა ინტერაქტიული ხასიათის იყო. შეხვედრაზე სტუდენტებმა ქ-ნ მზია თოდუას დაუსვევს მათთვის საინტერესო კითხვები.

13. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში ადამიანის

უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამის დირექტორმა სოფო ვერძეულმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ნარკოპოლიტიკა საქართველოში“ საჯარო ლექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ. სოფო ვერძეულმა ისაუბრა საქართველოში ნარკოვითარებასთან დაკავშირებულ სიტუაციაზე, განმარტა ორგანიზაციის როლი ნარკომანიასთან ბრძოლის შემთხვევებში და ისაუბრა კონსტიტუციური უფლებების დარღვევებზე. ასევე, უპასუხა სტუდენტთა შეკითხვებს ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით. შეხვედრა შეაჯამა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ხელმძღვანელმა მაკა აბულაძემ.

14. გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციის ბერგჰოფის ფონდისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით სპეციალურად კურსისთვის შერჩეული სტუდენტებისათვის გაიმართა 18 სამუშაო შეხვედრა, რომელიც შეეხებოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ესკალაციის სხვადასხვა პერიოდს. კონკურსის საფუძველზე შერჩეულ მონაწილეებს ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ ეთნიკურად ქართველი, აფხაზი და ოსი პირების ბიოგრაფიული ინტერვიუები. ინტერვიუებში ადამიანები, რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ საქართველოში არსებულ ეთნო – პოლიტიკურ კონფლიქტებს, თხრობდნენ თავიანთ პირად ისტორიებს, მოგონებებს და აღწერდნენ მათი თვალით დანახულ წარსულში მომხდარ მოვლენებს. საინტერესოა, რომ პროექტში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პირველკურსელებს, როგორც სამართლის ასევე საერთაშორისო

ურთიერთობების სპეციალობით. ინფორმაციისთვის ბერგჰოფის ფონდი გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც წლებია მუშაობს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური საშვიდობო დიალოგის მიმართულებით. ამა წლის თებერვალში ფონდმა დაიწყო ახალი პროექტი "ისტორიის შესახებ დიალოგი როგორც საფუძველი ნორმალიზაციისთვის", რომელსაც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფინანსებს. პროექტის ფარგლებში იმართება სამუშაო შეხვედრები/ვორქშოფები სხვადასხვა ჯგუფებთან. ვორქშოფებზე გამოყენებულია ბიოგრაფიული ინტერვიუების მოსმენისა და განხილვა/დისკუსიის მეთოდოლოგია. განიხილება ეთნიკურად ქართველი, აფხაზი და ოსი ადამიანების ბიოგრაფიული ინტერვიუები. აღნიშნული ბიოგრაფიული ინტერვიუები წარმოდგენილია აუდიოფაილების სახით, რომლებიც ჩაწერილია წლების მანძილზე ბერგჰოფის ფონდის მიერ. აღნიშნული პროექტი ქართულ-აფხაზური სამშვიდობო დიალოგის ნაწილია, რომელიც ორივე საზოგადოებაში წარსულის გადააზრებას/გაანალიზებას შეეხება.

15. სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა 2 თვიანი სასწავლო კურსი სამართლებრივი დოკუმენტის შედგენის ტექნიკაზე.

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებმა მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება მოახდინონ და გამოიმუშავონ ის უნარ-ჩვევები რომელიც აუცილებელია მათი პროფესიული წინსვლისათვის.

15. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე - ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები.

ლექციის მომხსენებელი - ანა ნაცვლიშვილი. ლექცია ინტერაქციული ფორმატის იყო და დამსწრე პირებს საშუალება მიეცათ კითხვები დაესვათ მომხსენებელისთვის.

16. 2018 წლის 7 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში სამართლის კლინიკის ორგანიზებით საქართველოს ახლაგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ სულხან სალაძემ ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „საზოგადოებრივი მაუწყებლების სამართლებრივი რეგულაციები“

შეხვედრა გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმარს მობრძანებისთვის და საჩუქრად გადასცა ფაკულტეტის კვლევითი საქმიანობის შედეგად გამოცემული სახელმძღვანელოები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ სულხან სალაძე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების წინაშე წარსდგა პრეზენტაციით თემაზე: „საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამართლებრივი რეგულაციები“. მომხსენებლმა ისაუბრა საზოგადოებრივი მაუწყებლის სტანდარტებზე, გამოწვევებსა და რეფორმებზე. კრიტიკულად შეაფასა მიმდინარე მოვლენები და გაიხსენა დადებითი ასპექტებიც საზოგადოებრივ მაუწყებლობის ისტორიიდან.

სტუმარმა აქტიურად უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს და მადლობა გადაუხადა მათ ასეთი დაინტერესებისთვის.

შეხვედრა შეაჯამა სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, რომელმაც საიას თავმჯდომარე სულხან სალაძესთან მიმოიხილა სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობა.

განათლებული ახ
განათლებული
ძლიერი ეკონო

17. სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა 1 თვიანი სასწავლო კურსი იურიდიული დოკუმენტების შედგენის ტექნიკა (კერძო სამართლის მიმართულებით). აღნიშნული კურსი უზრუნველყოფს სტუდენტის პროფესიონალიზმის ამაღლებას და განვითარებას. სასწავლო პროგრამა მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს:

- სასამართლო სამართალწარმოების დოკუმენტების შედგენის ტექნიკა;
- სარჩელისა და შესაგებლის შედგენის მეთოდიკა;
- შეგებებული სარჩელი;
- კერძო საჩივრის შედგენა და სასამართლოში მისი წარდგენის პროცედურები;
- დავის საგნის შინაარსის ზუსტი ფორმულირების პრობლემა;
- სახელმწიფო ბაჟი პირველი ინსტანციის სასამართლოში;
- უწყების ჩაბარება და სასამართლოში პირთა დაბარება;
- სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება;
- საქმის წარმოების პრაქტიკული პროცედურები;
- პრაქტიკული რჩევები შედეგზე ორიენტირებული დოკუმენტების სასამართლო სამართალწარმოების დოკუმენტების მომზადებისთვის;

18. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა 2 კვირიანი სასწავლო კურსი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“.

კურსის მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება, არასრულწლოვან დამნაშავეთა კრიმინოლოგიური დახასიათება, სოციალური გარემო და არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევა, არასრულწლოვანთა დანაშაულობის თავიდან აცილება, არასრულწლოვანთა ვიქტიმურობის პრევენცია.

- არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები საქართველოს სისხლის სამართლში, არასსრულწლოვანი ბრალდებულის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული გამოძიებისა და სამართალწარმოების სპეციალური ნორმების კრიმინოლოგიური ანალიზი და დახასიათება.

19. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე არსებული ,,პრაქტიკული სამართლის კლინიკის“ განახლებული პროგრამის პრეზენტაცია. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ირაკლი გაბისონია და დეკანის მოადგილე პროფესორი ჯემალ გაბელია, ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად. სამართლის კლინიკის ხელმძღვანელმა მაკა აბულაძემ თავდაპირველად მადლობა გადაუხადა პროფესორებს ირაკლი გაბისონიას და ჯემალ გაბელიას მათ მიერ გაწეული საქმიანობისთვის. მაკა აბულაძემ ისაუბრა პრაქტიკული სამართლის კლინიკის შესახებ, რომელიც წარმოადგენს საუნივერსიტეტო ბაზაზე შექმნილ სივრცეს, სასწავლო დისციპლინას, სადაც ხდება სტუდენტის ცოდნის ადაპტირება

პრაქტიკასთან. კლინიკის მიზანია დაეხმაროს, სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში; შეისწავლონ ადვოკატირების უნარ-ჩვევები.

20. სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით, ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავჯდომარემ ნიკა სიმონიშვილმა ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე: „არასამთავრობო სექტორის როლი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში“



21. " პრაქტიკული კურსი ადამიანის უფლებების" ფარგლებში, რომელიც ორგანიზებულია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის მიერ, ჩატარდა მორიგი პრაქტიკული შეხვედრა თემაზე „პერსონალური მონაცემების დაცვა“. ტრენინგს უძღვებოდა ასოცირებული პროფესორი

სოფიო დემეტრაშვილი. ტრენინგი ჩატარდა დისტანციურად პროგრამა Zoom-ის მეშვეობით.



22. სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა მორიგი ტრენინგი " ადამიანის უფლებათა პრაქტიკული კურსის ფარგლებში". ტრენინგის თემა “ ქალთა უფლებები და სექსუალური შევიწროება“.

შეხვედრას უძღვებოდა ნინო ჩიხლაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში პროექტის ხელმძღვანელი. იგი მრავალი წელია მუშაობს ქალთა უფლებების და ოჯახში ძალადობის თემატიკაზე.ამავდროულად, ნინო გახლავთ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძლადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ჯგუფის წევრი. ტრენინგი ჩატარდა დისტანციურად პროგრამა Zoom-ის მეშვეობით



23. პრაქტიკული კურსი ადამიანის უფლებების" ფარგლებში, რომელიც ორგანიზებულია სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის მიერ, ჩატარდა მორიგი პრაქტიკული შეხვედრა შშმ პირთა უფლებების თემატიკაზე ტრენინგს უძღვებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურისტი მარიკო კობახიძე. ტრენინგი ჩატარდა დისტანციურად პროგრამა Zoom-ის მეშვეობით.



24. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა პრაქტიკული შეხვედრა ბავშვთა უფლებების თემატიკაზე.

ტრენინგს უძღვებოდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე და ადამიანის უფლებათა პროექტის ანალიტიკოსი გვანცა საკანელაშვილი. ტრენინგი ჩატარდა დისტანციურად პროგრამა Zoom-ის მეშვეობით.



25. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესი სამოქალაქო სამართლში. მონაწილეებს გადაეცემათ სერტიფიკატები და სხვა ფასიანი საჩუქრები.

წარმოგიდენთ 2022-2023 წელს განხორციელებულ აქტივობებს:

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი იურიდიული კლინიკების განვითარების კონფერენცია.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკამ 2022 წელს მონაწილეობა მიიღო USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილ იურიდიული კლინიკების განვითარების კონფერენციაში.

კონფერენციის პრაქტიკულ სესიებს, უძღვებოდა Northwestern-ის უნივერსიტეტის პროფესორი ბრიჯიტ არიმონდი.

კონფერენციაზე კლინიკის ხელმძღვანელმა მაკა აბულაძემ იურიდიული კლინიკების წარმომადგენლებს გაუზიარა კლინიკის საქმიანობა და გამოცდილება.

კონფერენციაზე წარიმართა მსჯელობა იმ გამოწვევებზე, რომელიც არსებობს იურიდიული კლინიკების მიმართულებით.

Street Law

სამართლის კლინიკის ეგიდით 2022 წელს დაფუძნდა, პრაქტიკული სამართლის კურსი “Street Law” , რომელიც ერთის მხრივ დაეხმარება მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს ტრენერად ჩამოყალიბებაში და მეორეს მხრივ უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას სამართლის აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით. ამავდროულად აღნიშნული პრაქტიკული კურსი გახლავთ ერთგვარი დამხმარე საშუალება, რათა სკოლის მოსწავლეებმა მეტი გაიგონ სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის შესახებ.

“Street Law” აპრობირებული კურსია, როგორც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ასევე საქართველოს არაერთ აკრედიტებულ უნივერსიტეტში.

სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის წერით უნარ-ჩვევებთან ერთად მნიშვნელოვანია ზეპირი კომუნიკაციის უნარების და ეფექტური პრეზენტაციისა თუ გამოსვლების უნარ-ჩვევების გამომუშავება. პანდემიის პერიოდმა ზეპირ კომუნიკაციაში დამატებითი ბარიერები შექნა. დღეისათვის კი უფრო და უფრო აქტუალური ხდება ორგანიზაციების მხრიდან თანამშრომელთა პროფესიულ და პიროვნულ ზრდაზე ზრუნვა, რაც ტრენინგების მნიშვნელობის ზრდას განაპირობებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2022 წელს USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი იურიდიული კლინიკების განვითარების კონფერენციაზე Northwestern-ის უნივერსიტეტის პროფესორ ბრიჯიტ არიმონდის რეკომენდაცია გახლდათ სამარლის კლინიკის ფარგლებში street law-ს დაფუძნება.
თავდაპირველად მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს ჩაუტარდათ საორიენტაციო შეხვედრა და „ტრენერთა ტრენინგი“ სადაც განსახილველ თემებს წარმოადგენდა:

- ტრენინგის სრული ციკლის მართვა: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება;
- ტრენინგის სტრუქტურა;
- ტრენინგის მიზნების ფორმულირება;
- სწავლების ძირითადი პრინციპები;
- აუდიტორიის მოტივირების ტექნიკები;
- ტრენერების ყველაზე ხშირი შეცდომები;
- ტრენინგის ჩატარების სტანდარტები;
- აუდიტორიის მართვის, მოდერაციის ტექნიკები.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები სტუდენტები
შეძლებენ:

- სრულყოფილად დაადგინონ ტრენინგის საჭიროებები
- შექმნან საკუთარი მასალები რაც საჭიროა ტრენინგის ხარისხიანად ჩასატარებლად
- გამოიმუშაონ ეფექტური პრეზენტაციის ჩატარების უნარები
- შეიძინონ მსმენელებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარები
- მართონ სტრესი ტრენინგის ჩატარებისას
- შეიმუშაონ მსმენელების შეფასების სისტემა
- შეიმუშაონ ტრენინგის უკუკავშირის ფორმა, რასაც გამოიყენებენ შემდგომი სესიებისთვის

- დამხმარე ვიზუალური მასალების შექმნას. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის სამართლის კლინიკა მრავალ მიზანთან ერთად, აღნიშნული პროექტით, ახდენს:

- ქვეყანაში იურიდიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას
- იურისტის პროფესიის განვითარებას
- იურიდიული განათლების ალტერნატიული კერების განვითარებას

„საკვირაო სკოლა“ საშუალებას აძლევს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს გამოიმუშაონ ტრენერობისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები და გაიღრმავონ ცოდნა. ამავდროულად, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამართლის კლინიკის „საკვირაო სკოლა“ ერთის მხრივ გახლავთ, ალტერნატიული კერა სამართლებრივი საკითხების სიღრმისეულად შესწავლისთვის და მეორეს მხრივ საშუალებას აძლევს სკოლის მოსწავლეებს გააზრებული არჩევანი გააკეთონ პროფესიის არჩევისას.

“Street Law”-ს კურსზე 2022 წელს დარეგისტრირდა 74 მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი, რომელთაც 2022 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით ჩაუტარდათ 24 შეხვედრა. შეხვედრები ტარდება მიმართულებების მიხედვით (კერძო სამართლის მიმართულების, სისხლის სამართლის და საჯარო სამართლის მიმართულების ჯგუფებისთვის ცალ-ცალკე). სადაც სტუდენტები წინასწარ განსაზღვრული თემატიკის მიხედვით ამზადებენ პრეზენტაციას (PowerPoint-ში) და გაკვეთილის გეგმას.



შემდგომ ხდება ორი (მაქსიმუმ სამი) საუკეთესო ტრენერის შერჩევა, რომელიც საკვირაო სკოლის მოსწავლეებთან ატარებს ტრენინგს. ამავდროულად მოცემულ ტრენინგს ესწრება მაგისტრატურის საფეხურის 6 სტუდენტი, რომელიც წერილობით ახდენს წინასწარ შემუშავებული შეფასების ფორმის შევსებას. აღნიშნულის მიზანია ტრენერებმა უკეთ გაიაზრონ ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია და ტექნიკები.



პირველი ტრენინგი შეეხებოდა საქართველოს კონსტიტუციას

მეორე ტრენინგი - ადამიანის უფლებების განვითარებას, უფლებებსა და თავისუფლებებს და აბსოლუტურ და შეზღუდულ უფლებებს

მესამე ტრენინგი - სამოქალაქო სამართლის არსს, გარიგებებს, ქმედუნარიანობასა და უფლებაუნარიანობას

მეოთხე ტრენინგი - სისხლის სამართლის არსს და მართლწინააღმდეგობას



მეხუთე ტრენინგის თემატიკა შეეხებოდა დანაშაულს და ბრალს

მეექვსე ტრენინგი - საჯაროდ გამოსვლის ტექნიკას

მეშვიდე ტრენინგი - პოლიტიკური იდეოლოგიებს

მერვე ტრენინგი - საოჯახო სამართალს

მერვე ტრენინგზე სკოლის მოსწავლეებმა მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების დახმარებით შექმნეს სახელმწიფო და მისი კონსტიტუცია; ასევე განვლილი თემატიკა შეაჯამეს თამაშით „მითი თუ რეალობა“

მეცხრე ტრენინგი - ჩაატარა კრიმინალისტიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელმა.

განსახილველი თემა შეეხებოდა კრიმინალისტიკის აქტუალურ საკითხებს

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის რიგითი მეათე ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგის თემატიკა: ქირავნობა, იპოთეკა, გირავნობა, იჯარა და ქუჩაში დადებული

გარიგებები.შეხვედრა ინტერაქციული ფორმატის იყო და ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ კითხვები დაესვათ მომხსენებლებისთვის.

სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით საკვირაო სკოლის მოსწავლეები საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეწვივნენ, სადაც მართლმსაჯულების სასახლე დაათვალიერეს.

მოსწავლეებისთვის ექსკურსიის ორგანიზებაში ჩართულნი იყვნენ მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები. რაც ეხმარება მათ გამოიმუშაონ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

იმიტირებული სასამართლო პროცესები მაგისტრატურის საფეხურის

სტუდენტებისთვის

სამართლის კლინიკის ორგანიზებით, 2022 წლის თებერვალში მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესების სერია: სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში. (სწავლების დისტანციური ფორმატიდან გამომდინარე, იმიტირებული პროცესები გაიმართა პლათფორმა Zoom-ის მეშვეობით).

ჩატარებული 14 იმიტირებლი სასამართლო პროცესის მიზანი გახლდათ - სასამართლო პროცესებში წარმომადგენლობის უნარ-ჩვევების განვითარება.

სტუდენტების მიერ იმიტირებული სასამართლო პროცესის მომზადების პროცესში შედგენილ იქნა სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტი, რომელიც თავის მხრივ მიზნად ისახავდა სტუდენტთა კვალიფიკაციის ამაღლებას საპროცესო დოკუმენტაციის სწორად შედგენასა და სასამართლოში წარმომადგენლობის მაღალი ხარისხით განხორციელების თვალსაზრისით. ასევე, მათი ცოდნისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესებას



2022 წელს კურსით გათვალისწინებული შეხვედრების გარდა სტუდენტებს სამართლის კლინიკამ შესთავაზა დამატებითი აქტივობები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარებული ლექცია-სემინარი „საპოლიციო ღონისძიებები“-განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსფექტორი თამარ ცხადაძე

- „შუამდგომლობა აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე“ -პროკურორ ირაკლი მინაშვილის ლექცია-სემინარი



- „დადგენილება ბრალდების შესახებ“ და „დადგენილება დაზარალებულად ცნობის თაობაზე“ - საიას სისხლის სამართლის ადვოკატის ბეკა თაკალანძის ლექცია-სემინარი



- „შესავალი და დასკვნითი სიტყვის მომზადება“ - თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის მოადგილის იოსებ ხუციშვილის ლექცია-სემინარი



- „გამოძიების შეწყვეტა სისხლის სამართლის საქმეზე“ - საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორის ქეთევან ვაშაკიძის ლექცია-სემინარი



- Elsa-სთან შეხვედრა- შეხვედრის ფარგლებში მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს, Elsa-ს წარმომადგენლებმა გააცნეს იურიდიულ კომპანიებში და სახელმწიფო ორგანოებში სტაჟირებებზე და დასაქმებაზე, როგორც საქართველოს ასევე ევროპის მასშტაბით.


Zoom Meeting
Recording
Participants (39)
Find a participant
Maka Abuladze (Me)
Maka Abuladze
Ana Kirvalidze
Anna Gorduladze
Ilseqa Nadibaidze
Giorgi Kvaratskhelia
HUAWEI P10
Levan Leklashvili
Maka Abuladze
Invite
Unmute Me
Sample Text
Sample Text
Sample Text

- სამართლის კლინიკის ორგანიზებით, ფაკულტეტის დღის აღსანიშნავად გაიმართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (სტრასბურგის) იმიტირებული სასამართლო პროცესი. მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები.

საკვირაო სკოლის მოსაწვლეების დაჯილდოება

2023 წლის 17 თებერვალს, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ორგანიზებით ჩატარდა იმ მოსწავლეთა დაჯილდოება, რომლებმაც გაიარეს 4 თვიანი პრაქტიკული სამართლის კურსი - "სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლა".

აღნიშნული კურსი – “Street Law” წარმოადგენს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკასთან არსებულ პროგრამას, რომლის მიზანია ერთი მხრივ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება სამართლის აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ კლინიკაში პრაქტიკულ კომპონენტზე

დარეგისტრირებული სტუდენტებისთვის ცოდნის დემონსტრირების უნარების სრულყოფას.

სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცეს ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ, ფაკულტეტის სამართლის კლინიკის ხელმძღვანელმა მაკა აბულაძემ, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელმა ვახტანგ ჟვანიამ, პროფესორმა ნინო ნიშნიანიძემ, პროფესორმა თეიმურაზ ბეჟოშვილმა და სამართლის კლინიკის თანამშრომელმა თინათინ ბარაქაძემ.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკა კვლავ გეგმავს მსგავსი ხასიათის პროექტებს, როგორც ფაკულტეტის სტუდენტებისთვის აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთათვის.

წარმოგიდგენთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკის მიერ 2022 წელს გაცემული კონსულტაციების, და სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების სტატისტიკას:

2022 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით სამართლისა და საერთაშორისო ურთიერობების ფაკულტეტის სამართლის კლინიკამ გასცა 38 სამართლებრივი კონსულტაცია, რომელიც მოიცავდა როგორც სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ასევე

სისხლის სამართლებრივ საქმეებს. მოცემული საქმეებიდან მომზადდა 19 საპროცესო დოკუმენტი.

სამოქალაქო კატეგორიის საქმეების თემატური დაჯგუფება რომელზეც გაიცა ზეპირი/ელექტრონული კონსულტაცია:

1. საოჯახო და სამემკვიდრეო დავები (12)
2. უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (3)
3. ვალდებულებითი სამართლებრივი დავები (2)
4. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი დავები (2)
5. შრომითი დავები (2)

ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების თემატური დაჯგუფება რომელზეც გაიცა ზეპირი/ელექტრონული კონსულტაცია:

1. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავები (3)
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები (4)
3. დავები ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ბათილობის თაობაზე (4)

სისხლის სამართლის კატეგორიის საქმეების თემატური დაჯგუფება რომელზეც გაიცა ზეპირი/ ელექტრონული კონსულტაცია:

1. შეწყალება/ ამნისტიასთან დაკავშირებული საქმეები (5)
2. ნარკოტიკული დანაშაულებები (1)